MES 0 22 0001177555

28/09/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი
არჩილ სუმბაძე

შპს თავისუფალი სკოლა
ავთანდილ კიკნაძე

შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა
ეკა კვაჭანტირაძე

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი
მიხეილ ტეფნაძე
თამარ მიდელაშვილი

შპს თავისუფალი სკოლა
თამარ მიდელაშვილი

შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა
ირინა დვალი
მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო

გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 19 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844829 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწეს ებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844829 გადაწყვეტილებაში ტექნიკ ური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844829გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად განსაზღვრული იყო მხოლოდ ქართული ენა, ხოლო სკოლა საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზეც. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში და დაკორექტირებულიყო 26 ივლისის საბჭოს სხდომის ოქმის შესაბამისად.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844829 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844829 გადაწყვეტილების მეხუთე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „5. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული და რუსული ენა;".

2. შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და თამარ მიდელაშვილმა.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 22 და 23 აგვისტოს. ექსპერტმა სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ე.წ. ჰაუსების სისტემის არსებობა დაასახელა, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ სკოლის მოსწავლეები. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, აღნიშნული სისტემა ხელს უწყობდა ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის გამომუშავებასა და გაძლიერებას სკოლის მოსწავლეებში. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებდა წინა საბაკალავრო პროგრამა, რომელიც მუშაობდა პროფ-ორიენტაციის მიმართულებით და მოსწავლეებს ამზადებდა წარმატებული სტუდენტობისათვის. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლა ამუშავებდა და წლიდან წლამდე ავითარებდა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული აქტივობები ექსპერტმა სკოლის ძლიერ მხარეებად დაასახელა.

მიხეილ ტეფნაძემ, აგრეთვე, სკოლის ძლიერ მხარედ დაასახელა დაწესებულებაში ვირტუალური და გაფართოებული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც პილოტირების რეჟიმში იყო. თუმცა, მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული მიდგომა გაამართლებდა.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მისი თქმით, სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ინგლისური ენა, მათემატიკა და ფიზიკური აღზრდა. ამავე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები მხარს უჭერდნენ მოსწავლეებს და ეხმარებოდნენ კონკრეტული პრობლემების დაძლევაში, რაც დასტურდებოდა მოსწავლეებთან გასაუბრებთ. ექსპერტის განმარტებით, სასკოლო სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მიხეილ ტეფნაძემ, აქვე, დასძინა, რომ დაწესებულებაში შემუშავებული იყო საგნობრივი კლასებით სწავლების სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონს. მისი თქმით, აღნიშნული სისტემა შესაძლებელს ხდიდა კონკრეტული პარალელური კლასების მოსწავლეების რამდენიმე კლასში განაწილებას ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. აღნიშნული, მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლებისა და მასწავლებლების რწმენით, ხელს უწყობდა თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ზრუნავდა სასწავლო პროცესის განვითარებასა და შეფასებაზე. მისი თქმით, სკოლა ფლობდა 60 კომპიუტერს, 1120-ზე მეტ მერხსა და სკამს. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 20-ით. სკოლის ფართი კი მოიცავდა 14281 კვ.მ-ს. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და შენდებოდა მეხუთე ახალი შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართიც მოიცავდა 1700 კვ.მ-ს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად, სკოლის ფართზე იდგა 5 შენობა-ნაგებობა, რომელთაგან 3 იყო მოქმედი, 1 გამოიყენებოდა სათავსოდ, ხოლო 1 კი შედგებოდა ორი ბლოკისაგან. აღნიშნული ბლოკებიდან ერთი იყო სასწავლო ბლოკი, ხოლო მეორე ბლოკში განთავსებული იყო სპორტული დარბაზი. ექსპერტის თქმით, სასწავლო ბლოკში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა შიდა სივრცის მოწყობა.

ექსპერტის თქმით, პირველი შენობის პირველ სართულზე მოწყობილი იყო ადმინისტრაციის სივრცე, მოსასვენებელი ადგილი, ქიმიის ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი და სხვ. აღნიშნული შენობა-ნაგებობა დატვირთული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით. მეორე შენობა იყო ორსართულიანი, სადაც განთავსებული იყო სტანდარტული, დახურული სპორტული დარბაზი, სპორტის გაკვეთილების ოთახი და ე.წ. საერთო საცხოვრებელი. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, დაწესებულების მესამე შენობა იყო ერთსართულიანი და გამოიყენებოდა სათავსოდ. მეოთხე შენობა კი იყო ორსართულიანი, რომელშიც მოწყობილი იყო სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სივრცე. მიხეილ ტეფნაძის თქმით, მეხუთე სართული იქნებოდა მოწყობილი დაწყებითი განათლების საფეხურისათვის, სადაც განთავსებული იქნებოდა 20 საკლასო ოთახი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სასწავლო მიზნებისათვის ფუნქციონირებდა 32 საკლასო ოთახი. სკოლას ჰყავდა 60 მასწავლებელი. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ დაადასტურა, რომ თითოეული კადრი შერჩეული იყო კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, აგრძელებდა თუ არა სკოლა მის საუკეთესო პრაქტიკას ზაფხულის სკოლასთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ სკოლა აგრძელებდა და ახორციელებდა საკუთარ პრაქტიკას ზაფხულის სკოლასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლამ გააფართოვა კერძო ბანაკების პროგრამა, რომელიც დაწესებულებამ მიმდინარე წელს განახორციელა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად მისაღები იყო შემაჯამებელ დავალებებში მხოლოდ ტესტური დავალებების წარმოდგენა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა არჩილ სუმბაძემ განმარტა, რომ სკოლა შემაჯამებელ დავალებებს წარმოადგენდა პროექტების, პრეზენტაციებისა და სიმულაციების სახით. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში, წარმოდგენილი იყო, როგორც ტესტები, ასევე, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ნიმუშები. სკოლის წარმომადგენელმა, არჩილ სუმბაძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ცენტრში საავტორიზაიო განაცხადის წარმოდგენისას ტესტური დავალებები წარმოადგინა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებებისგან დამოუკიდებლად. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ დაადასტურა, რომ სკოლა შემაჯამებელ დავალებებს წარმოადგენდა საინტერესო შინაარსობრივი აქტივობებით. მისი თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმის არსებული მოთხოვნა კომპლექსური შინაარსის მქონე შემაჯამებლებთან დაკავშირებით სკოლაში დიდი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმაც.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაწესებულებაში არსებული ინოვაციური სივრცის შესახებ, რომელიც მოწყობილი იყო მომავლის პროფესიების პროგრამის შესაბამისად. საბჭოს წევრმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რომელი პროფესია და პროგრამა ჰქონდა სკოლას მხედველობაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ სუმბაძემ განმარტა, რომ ისინი სასკოლო სასწავლო გეგმაში ახდენდნენ ისეთი კურსების ინტეგრირებას, როგორებიც იყო პროგრამირების საფუძვლები, 3D მოდელირება, 3D ბეჭდვა, მიკროელექტრონიკა და სხვა. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებდა „სტარტ-აპ“ კლუბი, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეები და ინოვაციების მენეჯერი ატარებდნენ ისეთ აქტივობებს, როგორებიც იყო იდეათონი, ჰაკათონი და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 960 მოსწავლისათვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 960-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 დეკემბრის N152 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 დეკემბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 20 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისს (ს/კ: 205089526) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 960-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 20 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15 და 16 აგვისტოს. ექსპერტის განცხადებით, შპს თავისუფალი სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მირიან მეფის გამზირზე. ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის თქმით, დაწესებულებას შენობა აღებული ჰქონდა იჯარის წესით. მისივე განმარტებით, დაწესებულების ფართობი შეადგენდა 1075მ²-ს. შენობა განთავსებული იყო ორ სართულზე. ექსპერტის განმარტებით, შპს თავისუფალ სკოლას, ვიზიტის პერიოდში იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 2025 წლამდე ვადით, ექსპერტთა რეკომენდაციით დაწესებულებამ იჯარის ხელშეკრულება გაახანგრძლივა 2028 წლამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა 2011 წლიდან ფუნქციონირებდა ქალაქ ზესტაფონში, ხოლო ამჟამად დაწესებულება ფუნქციონირებდა ქალაქ თბილისში. ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 64 მოსწავლე. დაწესებულება სამივე საფეხურზე ახორციელებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ სასკოლო სასწავლო გეგმას. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო ოთხი კათედრა: დაწყებითი, სახელმწიფო ენებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; უცხოური ენების და ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში პირველი კლასიდან გაძლიერებულად ისწავლებოდა ინგლისური ენა, მეორე უცხო ენად კი ისწავლებოდა რუსული.
ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განცხადებით, სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს უდასტურდებოდა კვალიფიკაცია. სკოლას ჰყავდა 17 პედაგოგი, მათგან 1 იყო მენტორი

მასწავლებლის სტატუსის მქონე, 5 წამყვანი, 4 მეცნიერებათა დოქტორი და 2 დოქტორანტი, 9 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 2 კი იყო მოწვეული პედაგოგი. თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა გაკვეთილების შემდეგ გახანგრძლივებულ მეცადინეობებს. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებიც, კერძოდ, უკრაინელები, რუსები, ეთიოპელები და ამერიკელები. თამარ მიდელაშვილის განმარტებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეთა დოკუმენტაცია იყო მოწესრიგებული და თითოეული მათგანისთვის სკოლას ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებული.

ექსპერტის განცხადებით, სკოლა ორიენტირებული იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. მისივე თქმით, დაწესებულებაში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ დაკავებულიყვნენ სხვადასხვა სპორტული აქტივობებით. თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ჭადრაკის, ცეკვის, ტანვარჯიშის, მაგიდის ჩოგბურთის, ინგლისურის, შემოქმედებითი წერისა და გამოყენებითი ხელოვნების წრეები.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ყველა სართულზე განცალკევებული სველი წერტილი. თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, სადაც იყო, როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასევე, გრიფირებული სახელმძღვანელოები. თამარ მიდელაშვილის განცხადებით, ბიბლიოთეკაში სრულად არ მოიპოვებოდა მეცხრე კლასის გრიფირებული სახელმძრვანელოები, შესაბამისად ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად და სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა რეკომენდაცია. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა კომპიუტერების ლაბორატორია, სადაც იყო 15 ქსელში ჩართული კომპიუტერი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასევე ჰქონდა 6 კომპიუტერი განთავსებული საკლასო ოთახებში, 7 ლეპტოპი, 6 პროექტორი და 3 პრინტერი.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განცხადებით, წინა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა გადაამოწმეს მასწავლებელთა პორტფოლიოები, ანალიზის ფორმები და შესაბამისად, დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა აღნიშნული რეკომენდაცია ყველა საგნობრივ ჯგუფში.

თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ლაბორატორია ჰქონდა ნულ სართულზე. მისი თქმით, სკოლას შესყიდული ჰქონდა სრული აღჭურვილობა, კარადებში იყო განთავსებული ყველა სასწავლო რესურსი, თუმცა არ ჰქონდა სპეციალური კარადა რეაქტივებისთვის. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე შეიძინა აღნიშნული კარადა. თამარ მიდელაშვილის განცხადებით, ლაბორატორიას ჰქონდა პატარა ზომის ფანჯრები. სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ ლაბორატორიის კაბინეტში დაემონტაჟებინა სველი წერტილი, ნიჟარა და გამწოვი კარადა. ექსპერტის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულებული რეკომენდაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დამონტაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და დაწესებულებას ჰქონდა ცეცხლმაქრები. თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო შტაბი და დამტკიცებული იყო უსაფრთხოების სამსახურის დებულება, სკოლას ჰყავდა უსაფრთხოების სპეციალისტი, მაგრამ არ იყო დამონტაჟებული სახანძრო კვამლის დეტექტორები და ავარიული სანათები, ასევე კიბეებიდან ჩასასვლელი ფოსფორიანი მანიშნებლები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა გასწორებული ხარვეზების დამადასტურებელი ფოტო მასალა.

თამარ მიდელაშვილის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა 12 ვიდეო კამერა. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რათა სკოლას დაემატებინა შიდა პერიმეტრზე დამატებით 3 ვიდეო კამერა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავდა კვალიფიციური ექიმი. მისივე თქმით, ექიმის ხელშეკრულება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო წესრიგში, კაბინეტი აღჭურვილი იყო

შესაბამისი ინვენტარით, თუმცა განთავსებული იყო ზედა სართულზე. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას ექიმის კაბინეტი განეთავსებინა შენობის ყველაზე დაბალ სართულზე.
ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განცხადებით, სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო გამოქვეყნებული ყველა საჭირო ინფორმაცია, შინაგანაწესი ან ბოლო პერიოდში განხორციელებული აქტივობები. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციაც.
თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 15 საკლასო ოთახი, 285 ერთადგილიანი და 8 ორადგილიანი მერხი. დაწესებულებას განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 300 მოსწავლეზე, თუმცა, ექსპერტების თქმით, სკოლას საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 255 მოსწავლისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ გაეცნენ წინარე დასკვნის ნაწილს, რა რეკომენდაციები ჰქონდა დაწესებულებას მიღებული და ემთხვეოდა თუ არა ძველი რეკომენდაციები ექსპერტების მიერ გაცემულ ამჟამინდელ რეკომენდაციებს.
ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, წინა საავტორიზაციო ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციებში აქცენტები არ იყო გაკეთებული აღნიშნულ გარემოებებზე.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, დახურული ტიპის კითხვებისგან შემდგარ შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენად ხშირად იყენებდა სკოლა მსგავსი ტიპის შემაჯამებელ დავალებებს.
ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულება არც თუ ისე ხშირად იყენებდა დახურული ტიპის ტესტებს. მათ მისცეს რეკომენდაციები განმავითარებელ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გამოხატა სრული მზაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს მოსწავლეთა ამჟამინდელი რაოდენობის შესახებ. მას აინტერესებდა, თუ როგორ გეგმავდა სკოლა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას 64 დან 255-მდე.
სკოლის წარმომადგენელმა, ავთანდილ კიკნაძემ უპასუხა, რომ მოსწავლეთა სიმცირე გამოწვეული იყო პანდემიის გამო. მისივე განმარტებით, ამაჟამად დაწესებულებას ჰყავდა 108 მოსწავლე. სკოლაში ასევე სწავლობდა 12 სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ქართული ენა, დამატებითი მეცადინეობის ხარჯზე. სკოლაში ფუნქციონირებდა ქართულის შემსწავლელი წრე უცხო ენოვან მოსწავლეთა მშობლებისთვისაც. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში იყო მულტიკულტურული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ როგორ დაიწყო დაწესებულებამ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოზიდვა.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გასულ წლებში ჰქონდა აქტიური სოციალური ქსელი, რომლის საშუალებითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები სკოლის შესახებ იღებდნენ ინფორმაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 255 მოსწავლისათვის.
აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 255- ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 09 ნოემბრის N129 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია

მიენიჭა 2016 წლის 09 ნოემბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 09 ნოემბერს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თავისუფალ სკოლას (ს/კ: 430024939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 255-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 09 ნოემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ - ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირინა დვალმა და მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 20 და 21 ივნისს. ექსპერტის თქმით, დაწესებულება დაარსდა 2003 წელს, როგორც ბრიტანული სისტემის პირველი სასწავლებელი საქართველოში.
ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო სამსართულიანი, სკოლის ეზო იყო 1642 კვ.მ. ექსპერტის თქმით, სკოლის მისია იყო აღეზარდა მოაზროვნე პიროვნება, რომელიც შეძლებდა ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში. ირინა დვალმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ბრიტანულ საგანმანათლებლო მოდელზე

დაფუძნებით, შექმნილი იყო სწავლების ქართული სისტემა და წარმოდგენილი იყო ბრიტანული და ქართული კურიკულუმი. ექსპერტის განმარტებით, სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებდა პარალელურად ორი მიმართულებით: ეროვნული სასწავლო გეგმისა და ბრიტანული საერთაშორისო კურიკულუმის მიმართულებების IGCSE და GCE საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ირინა დვალის განმარტებით, აღნიშნული სრულად აკმაყოფილებდა კანონმდებლობას. ექსპერტის თქმით, სკოლის სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე 2016 წლიდან ყოველწლიურად თანხმდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტ, ირინა დვალის განმარტებით, სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე. ხოლო, მხოლოდ ინგლისურ ენაზე ისწავლებოდა ის საგნები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით. აღნიშნული, ექსპერტმა სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ დაასახელა.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით სასწავლო მომსახურებებს, როგორებიც იყო: დიალოგები, თვის თემები, კითხვის საათი და შემოქმედებითი წერა, ცეკვა, მეტყველების კულტურა.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 17 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო შესაბამისი სასწავლო ინვენტარით. ასევე, შენობაში მდებარეობდა ექიმის, დირექციისა და თანამშრომლების ოთახები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, გამოცდების ოთახი, ცეკვისა და კარატეს დარბაზი, ბუფეტი, სველი წერტილები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სასკოლო კურიკულუმის ერთ-ერთი ნაწილი სკოლის შიდა და გარე კომუნიკაცია იყო, რომელსაც დაწესებულება ამყარებდა, როგორც მოსწავლეებთან, ასევე, მშობლებთან და სკოლის თანამშრომლებთან. აღნიშნულის განსახორციელებლად, სკოლა იწვევდა ასამბლეებს, მოსწავლეთა საბჭოსა და აწარმოებდა ყოველთვიურ ანგარიშებს. ექსპერტის განმარტებით, ასამბლეა გულისხმობდა დირექტორის ყოველკვირეულ შეხვედრას მოსწავლეებთან სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, თითოეული კლასისათვის ფიქსირებულ დროს სკოლის დარბაზში, რაც შესაძლებლობას აძლევდა დირექტორს მუდმივად ორიენტირებული ყოფილიყო მოსწავლეთა საჭიროებებსა და მათ ინტერესებზე. ექსპერტ, ირინა დვალის, თქმით, მოსწავლეთა საბჭო ირჩეოდა სასწავლო წლის დასაწყისში კლასის მოსწავლეთა ფარული კენჭისყრის შედეგად, შეხვედრები კი იმართებოდა ორ კვირაში ერთხელ, ფიქსირებულ დროს. ექსპერტის განმარტებით, სკოლა საკუთარი საქმიანობის შესახებ აწარმოებდა ყოველთვიურ ანგარიშს. ანგარიშში არსებული ინფორმაციას კი აწვდიდნენ მშობლებს, სკოლის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევდა მშობელთა პროფესიულ დღეს. აღნიშნულ დღეს მშობლები აცნობდნენ მოსწავლეებს საკუთარ პროფესიას. მისი თქმით, მშობლებს შვილების კლასელები მიჰყავდათ სამსახურში, სადაც მოსწავლეებს აცნობდნენ სამუშაოს სპეციფიკას. ექსპერტის თქმით, სკოლას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის დღიური ფორმა, რომელსაც თითოეული პედაგოგი ავსებდა კვირის დასაწყისში, რის შედეგადაც, დეპარტამენტში მომუშავე მასწავლებლებისთვის გაკვეთილის თემა წინასწარ ხდებოდა ცნობილი.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლაში ასწავლიდა 50 მასწავლებელი, რომელთაგან 1 იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 30 იყო უფროსი მასწავლებელი, 13 მოწვეული, ხოლო 2 მაძიებელი. სკოლაში, ასევე, ასწავლიდა 4 უსტატუსო მასწავლებელი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, შექმნილი იყო ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფში შედიოდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, რომლებიც ესწრებოდნენ გაკვეთილებს და აძლევდნენ უკუკავშირს მასწავლებლებს. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, თითოეული დეპარტამენტი კვირაში ერთხელ იკრიბებოდა და ერთმანეთს უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას. ირინა დვალმა, აქვე დასძინა, რომ მასწავლებლები ჩართული იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ

ტრენინგებში. მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლები მუდმივად ეძებდნენ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისათვის საინტერესო შემოთავაზებებს.
ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების მექანიზმები. მისი თქმით, სკოლა პერიოდულობით ატარებდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ცრუ განგაშს. ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეებს, დამრიგებლებსა და თანამშრომლებს მიეწოდებოდათ დეტალური ინსტრუქცია საგანგებო სიტუაციაში მოქცევის შესახებ.
ექსპერტმა, განმარტა, რომ დაწესებულებაში მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშესაწყობად მუშაობდა კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს ეხმარებოდა პროფესიების გაცნობაში, საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების გაცნობიერებაში, ასევე, უცხოური უნივერსიტეტების შესახებ ინფორმაციის მოძიება-შერჩევაში, შემდეგ კი უნივერსიტეტთან მოლაპარაკების წარმოებაში.
ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობას, კერძოდ, ის თანამშრომლობდა კინო კლუბთან, რომლის ფარგლებშიც საშუალო საფეხურის მოსწავლეები ერთიანდებოდნენ კინო კლუბში. სკოლა, ასევე, სამოსით ამარაგებდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება, აგრეთვე, მხარდაჭერას უცხადებდა სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბენეფიციარებსა და ვეტერანებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდა სკოლის მიერ ორგანიზებული არაფორმალური აქტივობა ვეტერანთა მხარდასაჭერად. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ეკა კვაჭანტირაძემ განმარტა, რომ ვეტერანებს მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქციითა და საქველმოქმედო აქციით მიღებული თანხით ეხმარებოდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 252 მოსწავლისათვის.
აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 252-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 25 ნოემბრის N136 გადაწყვეტილებით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 25 ნოემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართულ სკოლას (ს/კ: 204432783) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 252-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 25 ნოემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა